საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

პაატა სილაგაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 20.12.2021
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ამირან ძაბუნიძის კანდიდატურა?
დიახ   არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის

პაატა სილაგაძის

მ ი მ ა რ თ ვ ა

20 დეკემბერი 2021 წელი ქ. თბილისი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისათვის ამირან ძაბუნიძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთებას.

დანართი: 1 ფურცლად

პატივისცემით,

პაატა სილაგაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისათვის ამირან ძაბუნიძის კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

20 დეკემბერი 2021 წელი ქ. თბილისი

2021 წლის 20 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის ამირან ძაბუნიძის კანდიდატურის წარდგენას შემდეგ გარემოებათა გამო.

ამირან ძაბუნიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციის გაცნობისა და კანდიდატთან ჩატარებული გასაუბრებით, აგრეთვე ჩემი და კანდიდატის ხანგრძლივი (მრავალწლიანი) თანამშრომლობის გათვალისწინებით მივედი დასკვნამდე, რომ კანდიდატი, ამირან ძაბუნიძე, სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმს.

აქვე აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმა (შეფასების პროცედურაში მონაწილე წევრებმა) კანდიდატი, ამირან ძაბუნიძე, მიიჩნიეს სრულად კეთილსინდისიერად და კომპეტენტურად, რასაც მოწმობს მის მიერ მიღებული მაღალი შეფასებები.

შესაბამისად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ამირან ძაბუნიძე სრულად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმს. იგი სრულად შეესაბამება ამ თანამდებობას და მხარს ვუჭერ მისი კანდიდატურის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

პაატა სილაგაძე